საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მურუსიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 24.04.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მდივანს ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურის წარდგენის გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

24 აპრილი, 2025 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭომ 2024 წლის 30 დეკემბრის N1/161 განკარგულების (ცვლილება შეიდა იმავე წლის 31 დეკემბრის N1/163 განკარგულებით) საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა, რომელშიც მონაწილეობას იღებს კანდიდატი არჩილ კოჭლამაზაშვილი.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული სანდო ინფორმაციისა და საჯარო მოსმენის საფუძველზე, 2025 წლის 14 აპრილს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შეჯაფასე შერჩევის პროცესში მონაწილე ყველა კანდიდატი, მათ შორის არჩილ კოჭლამაზაშვილი და მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით მაქსიმალური 100 ქულიდან მიკანიჭე 89 ქულა.

ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებებისა და შეფასებათა დასაბუთებების მიხედვით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას - ყველა წევრი მიიჩნევს, რომ არჩილ კოჭლამაზაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგეს 985 ქულას, რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1100) 89,55 პროცენტია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 15 აპრილის N1/37 განკარგულების თანახმად, აღნიშნული შერჩევის პროცესის ფარგლებში შემდგომ ეტაპზე გადავიდა საუკეთესო შედეგის მქონი ერთი კანდიდატი არჩილ კოჭლამაზაშვილი. აღნიშნული განკარგულებით, დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით არჩილ კოჭლამაზაშვილმა დაიკავა პირველი ადგილი.

შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-12-13 პუნქტების შესაბამისად, შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება მხარი დავუჭირო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრობაზე საქართველოს პარლამენტისთვის არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურის წარდგენის გადაწყვეტილებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან მურუსიძე